<u>მემკვიდრეობა</u>

ცნობილი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი (1842-1890) ავტორია რიგი ნაშრომებისა, სადაც პოლიტიკის სხვადასხვა თეორიული საკითხია განხილული. „ჩვენ დროში პოლიტიკა არის მეცნიერება სახელმწიფოს ცხოვრებისა, ესე იგი მისი პირობების, მიზნის, მიმართულების, მოქმედების და სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულების შესწავლა“, - აღნიშნავდა თავის ერთ-ერთ წერილში გიორგი წერეთელი.

გიორგი წერეთელი

მაკიაველიზმი

Timeo danaos et dona ferentes
მეშინია არამც თუ დანაელთა, მათ
მიერ მოძღვნილი საჩუქრებისაც

მაკიაველიზმი დიდი ხანია ევროპის პოლიტიკაში ტერმინათ არის მიღებული სასახელოთ შესანიშნავი იტალიელი პოლიტიკოსის ნიკოლო მაკიაველისა, რომელიც მოქმედებდა მეთექვსმეტე საუკუნეში. როგორც დიპლომატს და სახელმწიფო მოხელეს, მაკიაველს მთელ მაშინდელ განათლებულ ევროპის სახელმწიფოებში ჰქონდა მიწერ-მოწერა და მიმოსვლა გამართული. მის დროს იტალია მეტათ დანაწილებული და დაქუცმაცებული იყო პატარ-პატარა სამთავროებს შორის. ამათ ჰქონდათ მუდამი ბრძოლა და უთანხმოება ერთმანეთში, რომლის გამოც მთელი იტალიის ერი საშინლათ დამცირებული და აოხრებული იყო უცხო ქვეყნელების შემოსევით. რადგან იტალიაში ერთობა აღარ ხერხდებოდა, თითოეული პაწია სამთავრო მეზობლის დასამცირებლათ ყოველ წამს მზათ იყო, რომელსამე სამშობლო ქვეყნის მტერს მიმხრობოდა და მტერ-მეზო-

ბელზე გულის ჯავრი ამოეყარა. ამის გამო მთელი იტალია იმ საუკ-უნეში უცხო ქვეყნელებისგან - საფრანგეთისა და გერმანიის სახელ-მწიფოებისგან - გაქელილი და გაოხრებული იყო. აი, ამ დროს ცხოვრობდა იტალიის ერთათ-ერთი დიდი პატრიოტი მაკიაველი, რომელსაც ნაღველი ჰქონდა გახეთქილი მწუხარებით, რომ იტალი-ის ანგარების მოყვარე მთავრებს, გარდა საკუთარი პირადი ინტერე-სებისა, სხვა არა რწამდათ-რა და ერთმანეთის ბეზღობისა და აკლე-ბის მეტს არას აკეთებდენ, მაშინ როდესავ იმათი ქიშპობით და ერ-თმანეთის გულ დაუნდობლობით საწყალი იტალიის ხალხი გარეშე მტრების კლანჭებში იყო გამოკლული, ხოლო მთელი იტალია დამ-ცირებული. ნიკოლო მაკიაველი ძალიან კარგათ იცნობდა თავის დროს და ღრმათ შეგნებული ჰქონდა, რომ იტალიის უბედურება სულ მისი გარყვნილი, მეძავი მთავრობისა და მეთაური კაცების ბრალი იყო. ასეთ დროში ზნეობრივი მოქმედება არც პოლიტიკაში და არც ცხოვრების ვითარებაში არაფერი გამოსადეგი იყო. ნიკო-ლოზ მაკიაველი ღრმათ დარწმუნდა, რომ იტალიის გარყვნილი მე-თაურების ასალაგმავათ იმათივე უზნეობის შესაფერი ხერხი იყო საჭირო; მგელს - თოფი, ქურდს - ბორკილი, მცარცველს - ხანჯალი და ძალ-მომრევს საწამლავიო - წარმოთქვა მან და მთელი თავისი პოლიტიკური მცნება ასეთ სასტიკ იარაღებზე დაამყარა იმ განზრახვით, რომ იტალიის გარყვნილნი მეთაურნი ერის საშოდან ამ-ოეგლიჯა და განაწილებული ხალხი უცხო ქვეყნის მტარვალების გასადევნათ შეერთებინა. ამ განზრახვით იმან ამოირჩია ერთი უფ-რო განათლებული და ნიჭიერი მთავრის სახლობა, რომლისთვისაც სახელდობ მან დაწერა თავისი პოლიტიკური აღსარება - ”Il Principe” (აი, როგორ უნდა ქვეყნის მართვაო). ამ თხზულებაში ნი-კოლო მაკიაველს მოჰყავს მრავალნაირი საისტორიო მასალა, თუ როგორი საშუალებით გამლიერებულა რომელიმე სახელმწიფო. ის ამბობს, რომ ევროპისა და განსაკუთრებით იტალიის სახელმწიფოე-ბი მეტათ დაცემულნი არიან ზნეობრივათო. საჭიროა მხოლოთ, რომ ერთმა რომელიმე მთავარმა განუსაზღვრელი თვით მპყრობე-

ლობის ძალა გამოიჩინოს ქვეყნის საშველათო. მან თხზულება ”Il Principe” საკუთრათ ფლორენციის მთავრის ლორენცო მედიჩისთვის დაწერა. ის ასწავლის თავის საყვარელ მთავარს ისეთს ღონისძიების ხმარებას, რომ მითი უსაცილოთ უნდა გაეძლიერებინა თავისი სამთავრო. ამ თხზულების დამწერს ზნეობრივი საშუალება სრულებით არა აქვს მხედველობაში. ის ურჩევს ლორენცო მედიჩის, მხოლოთ პოლიტიკური ანგარიშებით იხელმძღვანელეო, ზნეობრივი მოქმედება სვეს ვერ გაგატანიებსო.

მაკიაველი გულ-ახდილათ ურჩევს მას ერთნაირ მოქმედებას მიზნამდი მისაღწევად: ”იყავ გულჩახვეული, მანკიერი, უნდო, ფიცხი და შედეგი ასეთი მოქმედებისა ნუ შეგაშინებსო”. მაკიაველი ასწავლის, რომ მხედველობაში უნდა გქონდესო მხოლოთ საერთო ქვეყნის სიკეთე და ამის გულისთვის ნუ რა საშუალებას ნუ დაერიდებიო, თუნდ რომ ძალიან უზნეოც იყოსო, ოღონდ კი შენი განზრახვა აასრულეო. ასე მოქმედებენ ძლიერნი ამა სოფლისანი და შენც იმათ კვალს უნდა მიჰყვეო.

სამწუხაროთ, ეს მცნება ლორენცო მედიჩიმ კი ვერ გამოიყენა იტალიის გასათავისუფლებლათ და იტალიის გარეშე მტრებმა, ავსტრიის იმპერატორმა, კარლოს მეხუთემ, კი ხელზე დაიხვია ეს მცნება. მთელი იტალიის ხალხი მან განხეთქა ორ ერთმანეთის სისხლის მსმელ პარტიის ბანაკათ. ავსტრიის იმპერატორი, კარლოს მეხუთე, ძალიან კარგათ სარგებლობდა ძველი გიბელინებისა და გველფების უთანხმოებით. ის თავის აგენტების მეოხებით ნიადაგ თესდა შურს, მტრობას ამ ორ იტალიის ძველებულ პარტიათა შორის. მათ ერთმანეთ შორის სისხლს აღვრევინებდა, ერთმანეთის ბრძოლით ასუსტებდა და თვითონ კი მთელ იტალიის ხალხს არწივათ დადგომოდა ზეიდან, რომ შინაური განხეთქილებით დასუსტებული იტალია კლანჭებში გამოეკლა.

გ. წერეთელი

“კვალი” 1897 წ 13 აპრილი, № 16, გვ.318-319